ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 148 (19884) ᲙᲕᲘᲠᲐ, 21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ

„ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲕᲔᲠᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲬᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲓᲒᲜᲘᲜ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲗ...“

ᲛᲔ ᲨᲔᲠᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲠᲪᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲑᲭᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘᲗ „ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ 2000 ᲬᲚᲘᲡ ᲣᲑᲠᲝᲜᲗᲐᲜᲘᲐᲠᲐᲧᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲠᲝᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲐᲠᲣᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“. ᲛᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲓᲘᲗ 23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲐᲮᲚ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘᲗ „ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ 2000 ᲬᲚᲘᲡ ᲣᲑᲠᲝᲜᲗᲐᲜᲘᲐᲠᲐᲧᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲠᲝᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲐᲠᲣᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“. ᲛᲝᲡᲘ ᲛᲝᲬᲕᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 121 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ.

ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲓᲔᲠ ᲩᲐᲛᲝᲗᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲛᲪᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ

მეტი ინიციატივა

205 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი უნდა ჩაბარონ რესპუბლიკის მშენებლებმა, რომ შეასრულონ ნახევარი წლის გეგმა. ამ ამოცანის შესრულება შეიძლება, აღინიშნა რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსის მოქმედების საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის თათბირზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა. მაგრამ საჭიროა დარგის თითოეული მუშაკის მუყაითი შრომა — ხელმძღვანელით დაწყებული და რიგითი მუშით დამთავრებული. ამავე დროს ყველა ქვეგანაყოფში როდი ესმით ახლებურად მუშაობის საჭიროება. საქმისადმი სწორად ასეთი დამოკიდებულება გახდა ცხინვალსა და ბორჯომში ზოგიერთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე ჩამორჩენის მიზეზი. აქაური სამშენებლო ქვეგანაყოფების ხელმძღვანელობამ დროულად ვერ გამოავლინა და ვერ გამოიყენა რეზერვები, ვერ ათვარეთ შრომითი რესურსები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შესასახლებლად საცხოვრებელი სახლების გამზადებას. ხაგზასმით აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს ახალმოსახლეები კეთილმოწყობილ და სუფთა ბინებში შედიან.

მშენებლები პირობას დებენ აგრეთვე, რომ შეასრულებენ სკოლების, საბავშვო ბაღების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტების მშენებლობის ნახევარი წლის გეგმას. სასწავლო წლის დაწყებისათვის, მაგალითად, ჩაბარდება სკოლები, რომლებიც დაგეგმილია ცხრა ათასი მოსწავლისათვის. აქ აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ობიექტების ხარისხს.

მაგრამ არის სამწუხარო შემთხვევები, აღინიშნა თათბირზე, როცა თითქოს უბრალო რამ აფერხებს მზა ობიექტის ჩაბარებას. მაგალითად, 1500-ადგილიანი კულტურის სახლები, რომლებიც საქართველოშენმა ააგო, ჩამორჩენილთა სიაში აღმოჩნდა იმის გამო, რომ აქ დროულად არ იზრუნეს... სკამებისათვის. ოზჰიექტის აღჭურვილობა ხომ ახლა მშენებელთა ზრუნვის ფეხრის განეკუთვნება.

ადგილებზე უნდა მეტი ინიციატივა, გამჭრიახობა, კომერციული ნიჭი გამოიჩინონ. დღეს საკმარისი არ არის დაინახო და წამოაყენო პრობლემა, უნდა შეგეძლოს საკუთარი ძალებით მისი გადაჭრაც.

თათბირზე განიხილეს აგრეთვე მასალებით მშენებლობათა უზრუნველყოფის საკითხები. რესპუბლიკის კარიერებში საკმაოდ არის ინერტული მასალები, მაგრამ ხშირად დროზე ვერ მიაქვთ დანიშნულების ადგილას ვაგონების ნაკლებობის გამო, რაც ქრონიკულ ამბად იქცა. ამიერკავკასიის რკინიგზით ტვირთზიდვის მდგომარეობა სისტემატურად ყურადღება. შემაშფოთებელი სიტუაციისადმი არაერთგზის მიუპყრია რკინიგზის ხელმძღვანელობის ყურადღება, მაგრამ აშკარა შედეგები არა ჩანს.

ვითარება არ უმჯობესდება კომენტატორ, შიფერთან, ბიტუმთან დაკავშირებითაც. მათს წარმოებასა და მიწოდებაში ჩამორჩენა, რომელიც წლის დასაწყისში აღინიშნება, კიდევ უფრო გაძლიერებულა.

თათბირზე განსაზღვრეს სამშენებლო კომპლექსის სამუშაოთა დაჩქარებისა და საშენ მასალათა მიწოდებაში ჩამორჩენის ლიკვიდაციის კონკრეტული ღონისძიებანი. (საქინფორმი).

საბჭოთა ახალგაზრდობის დღის აღსანიშნავად

როგორც ცნობილია, 1987 წლის 27 ივნისს აღინიშნება საბჭოთა ახალგაზრდობის დღე — საბჭოთა ქვეყნის ქალიშვილებისა და ჭაბუკების შრომისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სოლიდარობის საკავშირო დღესასწაული.

რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდები მიმდინარე წელს საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ხვდებიან, რაც გამოწვეულია XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების, საკავშირო 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, და თავიანთი წვლილი შეაქვთ გარდაქმნის პოზიციურ პროცესებში, სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარების საქმეში.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, განათლების სამინისტროს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, ფიზიკურ კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიებმა, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა ამასთან დაკავშირებით დადგინეს, რომ ყველა შრომითს და სასწავლო ახალგაზრდულ კოლექტივებში, კომკავშირულ ორგანიზაციებში ფართოდ აღინიშნოს საბჭოთა ახალგაზრდობის დღე და მთელი ენერგია და ენთუზიაზმი მოხმარდეს სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების, საკავშირო ალკგ XX და საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებათა რეალიზაციას.

კომკავშირის კომიტეტთან ერთად დიდი ყურადღება დაეთმოს ახალგაზრდული პრობლემების გადაწყვეტას, გულისხმიერ, ნოვატორულ მიდგომას ახალგაზრდების ინტერესებისა და მოთხოვნილებებისადმი. მკაცრი კონტროლი გაუწიონ კანონმდებლობის შესრულებას, რომელიც ეხება შრომითი კოლექტივების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ახალგაზრდობას.

ახალგაზრდობის საკავშირო დღის ჩატარების წინ კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, პრაქტიკულ ორგანიზაციას გაუწევენ ახალგაზრდულ დღესასწაულებს, სპორტულ შეჯიბრებებს, ვეტერანებთან შეხვედრებს, სეირნობებს, უჩვენებენ კინოფილმებს და ა. შ. ახალგაზრდობის საკავშირო დღის ფართო პროპაგანდის გაუწევს რესპუბლიკური პრესა, რადიო და ტელევიზია.

მიფრინავს „კოსმოს-1860“

1987 წლის 19 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1860“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკმინფორმი).

იტალიის კომპარტია
არჩევნების შედეგების შესახებ

რომი. 14-15 ივნისს იტალიაში გამართული პარლამენტის ვადამდელი არჩევნების შედეგების ანალიზს მიეძღვნა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ალესანდრო ნატას პრესკონფერენცია, რომელიც დღეს გაიმართა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობაში.

ხმის მიცემის დროს კომპარტიამ სულ დაკარგა ამომრჩეველთა ხმის 3 პროცენტი, რაც არჩევნებში დამარცხებას ნიშნავს, ხაზგასმით აღნიშნა მან. მაგრამ, თქვა შემდეგ ა. ნატამ, მარცხმა ფარ-ხმალი ვერ დააყრევინა იტალიელ კომუნისტებს. იგი იტალიის კომპარტიისათვის გახდა გაკვეთილი, რომელიც რაზმავს მას იმისათვის, რომ კიდევ უფრო გააქტიუროს მუშაობა როგორც ქვეყნის, ისე თვით პარტიის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

იტალიის კომპარტია, თქვა მან შემდეგ, თანამიმდევრულად და მტკიცედ იბრძოლებს იმ საპროგრამო მიზნების მისაღწევად, რომელიც დაისახა ფლორენციაში გამართულ XVII ყრილობაზე. იტალიის კომუნისტურ პარტიას მასზე წამოყენებული „დემოკრატიული ალტერნატივის“ იდეა, რომელსაც ამჟერად მხარი არ დაუჭერს ამომრჩეველმა, გადამწყვეტად მიაჩნია ქვეყნის მომავლისათვის.

ა. ნატას პრესკონფერენცია მნიშვნელოვანი მომენტი გახდა არჩევნებში დამარცხების მიზეზების გამო იტალიის კომპარტიაში გამართულ ფართო, გულახდილ და თვითკრიტიკულ დისკუსიაში. იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრმა ჯან კარლო პაიეტამ გაზეთ „მესაჯეროსათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ ქვეყანაში მომწიფდა ღრმა უკმაყოფილება არსებული ვითარების გამო, რომელსაც „ჩვენ ყოველთვის ვერ ვუგებდით“.

„უნიტას“ მოჰყავს იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ლუჩო ლიბერტინის აზრი, რომელმაც აღნიშნა: „იტალიის კრიზისი შეუქცევადი ხასიათისა იქნება, თუ ძირეული შემობრუნება არ მოხდა მის პოლიტიკაში, თუ არ დაუბრუნდით დიდ მასობრივ გამოსვლებს სოციალური პოლიტიკის დარგში, ამ საფუძველზე საზოგადოებაში არ შეგქმნით კომუნისტების, სოციალისტებისა და კათოლიკეების მასების ღრმა ერთიანობას“.

პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილება 25 ივნისს მოიწვიონ იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი, რომელიც მიეძღვნება არჩევნების შედეგების საფუძვლიან ანალიზს და ამასთან დაკავშირებით, ყრილობის წინაშე დასახულ ამოცანებს.

ნეგაჟოფლოგიოთი შრომის დღე

ქაბული. სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათა ათასობით მუშა-მოსამსახურემ, ავღანეთის არმიისა და სახალხო მილიციის ჯარისკაცმა და ოფიცერმა 19 ივნისს მონაწილეობა მიიღო ბამიანის პროვინციაში გამართულ ჰაშარში (ნებაყოფლობითი შრომის დღე). შესრულდა ღვარცოფებისაგან დაზიანებული გზების, ხიდების, საცხოვრებელი სახლების შესაკეთებელი სამუშაოები. ჰაშარის დროს გამომუშავებული სახსრები გადაირიცხა ბანკის სპეციალურ ანგარიშზე იმ ავღანელთა დასახმარებლად, რომლებიც ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საზღვარგარეთიდან დაბრუნდნენ ეროვნული შერიგების პოლიტიკის შედეგად.

როგორც ბახთარის სააგენტო იუწყება, ამ დღეებში 99 ავღანელი მოქალაქე დაბრუნდა სამშობლოში ნანგანჰარისა და ჯაუზჯანის პროვინციებში.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციურმა ხელისუფლებამ ქაბულის ცენტრალური საპატიმროდან გაათავისუფლეს კიდევ 275 ტუსაღი, რომლებიც ადრე მსჯავრდებული იყვნენ კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის.

სოფლებში, თემებსა და მაზრებში ამ დღეებში მიმდინარეობს სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და ეროვნული შერიგების კომისიის არჩევნები. მოსახლეობა მასში აქტიურად მონაწილეობს. სხვა კანდიდატებთან ერთად ხელმძღვანელ პოსტებზე აწინაურებენ ხალხის მხარეზე გადმოსულ შეიარაღებულ ფორმირებათა მეთაურებსაც.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **პარიზი.** მომავალი წლის დამლევს უმუშევრობა საფრანგეთში მიაღწევს რეკორდულ დონეს — თვითმოქმედი მოსახლეობის 12 პროცენტს. ახეთი არასახარბიელო პროგნოზი გამოიტანეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ექსპერტებმა, რომელიც 24 განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას აერთიანებს, აქ გამოქვეყნებულ მოხსენებაში ნაზგასმით არის აღნიშნული, რომ საფრანგეთში კიდევ უფრო შემცირდება ეკონომიკური განვითარების ტემპი, მოიკლებს დასაქმება, დაეცემა მოსახლეობის მყიდველობითი უნარი.

◆ **სან-ფრანცისკო.** ლოს-ანჯელესის მერმა ტომ ბრედლიმ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ ქალაქის ხელისუფალნი მზად არიან უმასპინძლონ 1988 წლის საზაფხულო ოლიმპიადას, თუ სამხრეთ კორეის დედაქალაქში მისი მოწყობა შეუძლებელი გახდება. იქ, როგორც ცნობილია, ძლიერდება მასობრივი გამოსვლები ჩონ დუ ხვანის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ, მერის თქმით, ამასწინანდელი არაოფიციალური კონტაქტების დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას აცნობეს, რომ ლოს-ანჯელესს აქვს საამისოდ საჭირო სასპორტო ნაგებობანი და შესაძლებლობანი.

20 ივნისი ● საკდესი იუწყება

უკსიჟეიში
ფაქტები • მოვლენები

გდრ: პლენუმმა მოიწონა

ბერლინი. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირმა გამოავლინა მათი მტკიცე ერთიანობა და შეკავშირება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში დასახული ღონისძიებანი მიზნად ისახავენ მოძმე პარტიებისა და სახელმწიფოების ერთობლივი მოქმედების შემდგომ გაღრმავებასა და სრულყოფას ცხოვრების ყველა დარგში, განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჰორსტ დოლუსმა. მან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოხსენება გააკეთა ცენტრალური კომიტეტის აქ მიმდინარე პლენუმზე.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდ შეფასებას აძლევს სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მშვიდობისმოყვარულ ინიციატივებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპაში ამერიკისა და საბჭოთა კავშირის საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციას. ასეთი შეთანხმების დადება დასაბამს მისცემს ბირთვულ განიარაღებას.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, განაცხადა შემდეგ ორატორმა, დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეცადინეობას იმ კურსის პრაქტიკული განხორციელებისათვის, რომელიც შეიმუშავა სკკპ XXVII ყრილობამ და მიზნად ისახავს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, სოციალიზმის დამკვიდრებასა და მისი ავტორიტეტის გაძლიერებას საერთაშორისო ასპარეზზე. საბჭოთა კავშირთან, მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან ერთად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი იდღესასწაულებს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მტკიცე, დროით ნაცადი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისათვის, სოციალიზმის საქმისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერლინში ამხანაგების ე. ჰონეკერისა და მ. ს. გორბაჩოვის ამასწინანდელ შეხვედრას.

შეიტრა რა დასავლეთ ბერლინში რ. რეიგანის გამოსვლას, მომხსენებელმა თქვა: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი შეეცადა საეჭვო გაეხადა ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების ურღვევობისა და ტერიტორიული მთლიანობის დებულება და გამოაცხადა „ევროპის გათიშვის დაძლევის“ ლოზუნგი. რეიგანმა, რომელმაც არ უპასუხა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ახალ კონსტრუქციულ წინადადებებს, კვლავ ილაპარაკა ყალბი საფრთხის შესახებ, ამასთან ცილს სწამებდა სოციალისტურ წყობილებას. მისი გამონთქვამები არ შეიცავდა არავითარ კონსტრუქციულ ელემენტებს ძირეული საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტისათვის.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებისათვის, აღნიშნა მან, განმსაზღვრელი ელემენტია პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს მშვიდობის შენარჩუნებას. თუ გერმანია გამოიჩენს ევროპაში მტკიცე მშვიდობის ინიციატივას და თუ ორივე გერმანული სახელმწიფო თავის ურთიერთობაში ინელმძღვანელებს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებით, მაშინ შესაძლებელია შემდომი პროგრესი ორმხრივი ურთიერთობის სხვა სფეროებშიც. ისევ დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ გერმანიის ფედერალიური რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ერთგული დარჩება თავისი განცხადებისა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ესწრაფვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის პოლიტიკის აქტიურ და მზარდ გავლენას და ოცდაწლს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობაში კეთილი კლიმატის შექმნისათვის. ამავე დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარკვეული წრეები, რომლებიც ცდილობენ განიარაღების დარგში პოლიტიკური ნაბიჯები ალიარებინონ „შეერთების“ შესახებ კამათს, მიუღებელია და საეჭვოს ხდის შესაძლო პროგრესს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში. თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელ მთავრობას თავის ამოცანად მიაჩნია „გერმანიის გათიშვის დაძლევა“, ძნელი გასაგებია, როგორ სურს მიაღწიოს ურთიერთობის გაუმჯობესებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ასეთ არარეალისტურ მისწრაფებებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველთვის საკადრის პასუხს სცემდა.

ირან-ერაყი: ბრძოლები გრძელდება

ბაღდადი. როგორც ერაყის სამხედრო წარმომადგენელი იუწყება, 20 ივნისს ერაყის თვითმფრინავებმა შეუტიეს და დაუბანეს „დიდი საზღვაო სამიზნე“ სპარსეთის აყურეში. ერაყის ავიაციამ, აღნიშნა წარმომადგენელმა, აგრეთვე დაბომბა ნავთობჩასასხმელი თერმინალი ჰარკის კუნძულზე.

ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე გასულ დღეებში გრძელდებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები, ნათქვამია ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის მორიგ ცნობაში. ერაყის ჯარების მოწინავე ქვეგანაყოფებმა არაერთგზის შეუტიეს მოწინააღმდეგის ჯარების პოზიციებსა და თავმოყრის რაიონებს.

ბასრის აღმოსავლეთით ირანის არტილერიამ გაანადგურა ერაყელთა 10 ტანკი.

ირნა იმასაც იუწყება, რომ ირანის საგუშაგო კატარღებმა 13 სავაჭრო გემი დააკავეს ორმუზის სრუტის რაიონში. შემოწმების შემდეგ ყველა გემს ნება დაერთო განგრძო რეისი.

სროლა გრძელდებოდა აგრეთვე ბასრის აღმოსავლეთით.

როგორც ინას სააგენტო იუწყება, ირანის ზორსმსროლელმა არტილერიამ კვლავ ცეცხლი დაუშინა ბასრას. დანგრეულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი.

ნიკოზია. გააფთრებული შეტაკებანი ხდებოდა ფრონტის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთის უბნებზე, ნათქვამია ირნას სააგენტოს ცნობაში. ირანის არტილერია 19 ივნისს მთელი დღის განმავლობაში ინტენსიურად უშენდა ცეცხლს მოწინააღმდეგის ჯარების პოზიციებსა და თავმოყრის რაიონებს.

ბასრის აღმოსავლეთით ირანის არტილერიამ გაანადგურა ერაყელთა 10 ტანკი.

ირნა იმასაც იუწყება, რომ ირანის საგუშაგო კატარღებმა 13 სავაჭრო გემი დააკავეს ორმუზის სრუტის რაიონში. შემოწმების შემდეგ ყველა გემს ნება დაერთო განგრძო რეისი.

დამთავრდა ფესტივალი

ჰარარე. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში დამთავრდა საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალი „ზლატა პრაღა“. ფესტივალში მონაწილეობდა მსოფლიოს 40 ქვეყნის 44 ტელეკომპანია. დრამატულ ტელეფილმებს შორის მთავარი პრიზი მიიღო იაპონელი რეჟისორის იუკიო ფუკამაჩის ნამუშევარმა „ის დღე, როცა მამამ...“, მუსიკალურ ლენტებს შორის — ჰოლანდიელი რეჟისორის ჰანს ფაშერის ფილმმა „ბავშვები და ჯადოქრობა“.

პრიზი საუკეთესო აქტიორული ნამუშევრისათვის მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტს მიხეილ ულიანოვს, რომელმაც ვ. ი. ლენინი განასახიერა ფილმში „ლენინის პორტრეტის შტრიხები“. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების საუკეთესო ეკრანიზაციისათვის განკუთვნილი ჯილდოები და „ინტერვიზიის“ პრიზი მიენიჭა საბჭოთა ტელევიზიის ფილმ-ბალეტს „იდიოტი“, რომელიც შექმნილია თ. მ. დოსტოევსკის რომანის მოტივებზე პ. ი. ჩაიკოვსკის მუსიკით.

ნარმატებული გასტროლები

ელსინკი. ფინეთის ქალაქ იოენსუუს კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია ადგილობრივ საზოგადოებრიობას საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის გასოლა. აქ, ალმოსავლეთ ფინეთში, ქართველი მუსიკოსები ჩამოვიდნენ ჩვეულის დასავლეთში მდებარე ქალაქ ნაანტალიდან, სადაც ისინი გამოვიდნენ კლასიკური მუსიკის ფესტივალზე.

„ნაანტალში იყო საქართველოს დღესასწაული“, — წერს დედაქალაქის გაზეთი „უუსი სუომი“, აძლევს რა მაღალ შეფასებას ბრიტანიის ყურის სანაპიროზე გამართულ კონცერტს, იგი დიდად იწონებს მთელი კოლექტივის ბრწყინვალე საშემსრულებლო ოსტატობას, ამასთან განსაკუთრებით აღნიშნავს დირიჟორისა და სოლისტის ლანა ისაკაძის, პიანისტ ალექსი ლუბიმოვის ნიჭს.

იოენსუუსში მუსიკის ფესტივალის დირექტორ-განმაკარგულებელი ჰეიკი რიიკონენი დარწმუნებულია, რომ მუსიკალური თანამშრომლობა უნდა განაგრძონ და გაადფართოონ.

ჰ. რიიკონენმა სიამაყით უჩვენა ქართველ ოსტატებს დიდი სასიმღერო მოედანი, სადაც ერთდროულად შეუძლია გამოსვლა რამდენიმე ათას მომღერალს. ეს მოედანი აშენდა 1985 წელს კარელია-ფინეთის ეროვნული ეპოსის „კალევალას“ პირველი გამოცემის 150 წლისთავისათვის. მას შემდეგ ქალაქში ზაფხულობით დაიწყეს დიდი მუსიკალური დღესასწაულების გამართვა.

იოენსუუს უნივერსიტეტის პროფესორმა კირსტი მანინენმა, რომელიც აგრეთვე ქალაქის მუსიკოსთა კავშირის თავმჯდომარეა, მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მსახიობებს.

ადგილობრივი გაზეთი „პოპეის კარიალა“ ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ორკესტრის გასტროლები წარმატებით მიმდინარეობდა, და სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ გამოსვლები ცოტა იყო, რადგან ორკესტრი გამოვიდა ფინეთის მხოლოდ ორ ქალაქში. ახლა კოლექტივი გაემგზავრა ნორვეგიაში, „ფიორდების ქვეყნის“ ყველაზე ჩრდილოეთ ნაწილში. შემდეგ გასტროლები გაგრძელდება შვეიცარიაში.

21 ივნისი
მედიცინის მუშაკის დღეა

გარდაქმნათა მოთხოვნის დონეზე

საქართველოში სამედიცინო საქმეს მდიდარი ისტორიული წარსული აქვს. საქართველო ოდითგანვე ცნობილია როგორც მედიცინის მითოლოგიური სამშობლო. „ჩვენს ხალხს თავისი ჯანმრთელობისათვის უზრუნვია. ამდენნაირ მანძილზე კარგი თუ ავი მკურნალობა ამათაც სცოდნიათ და ჰკონიათ“, — წერდა დიდი ილია.

დღეს კი რესპუბლიკას დიდად განვითარებული ჯანმრთელობის სამსახური აქვს.

რესპუბლიკის მშრომელთა სამედიცინო სამსახურში დგას 438 კეთილმოწყობილი საავადმყოფო, 48 სამშობიარო სახლი, 2444 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური, 2000-ზე მეტი საფთიაქო დაწესებულება. საქართველოში არ არის ისეთი კუთხე, სადაც ავადმყოფს საექიმო დახმარება ადგილზე არ გაეწოს.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში ფეხი მოიკიდა სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მეთოდების მეცნიერული დამუშავების, პაციენტებისათვის ამ დარგებში მაღალკვალიფიციური დახმარების აღმოჩენისა და, რაც მთავარია, პრაქტიკული მედიცინისათვის სპეციალისტთა აღზრდის მიზნით რესპუბლიკური სპეციალიზებული ცენტრების შექმნის პრაქტიკამ.

საქართველოში თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების აკვანი თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე დაირწა. სწორედ აქ შეიქმნა 2 უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი, 21 სამედიცინო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და რამდენიმე სამეცნიერო ცენტრი, სადაც სადღეისოდ 3600-ზე მეტი სწავლული მედიკოსი, მათ შორის 1600 მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, 300-მდე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მოღვაწეობს.

ფართო აღიარება მოიპოვა ქართველი კარდიოლოგების, გინეკოლოგებმა, ნეკროლოგების, ფსიქიატრების, ნეიროფიზიოლოგების, ოტოლარინგოლოგების, ტრავმატოლოგ-ორთოპედების, ქირურგებისა და სხვათა გამოკვლევებმა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის განსაკუთრებული თავისებურებაა მისი პროფილაქტიკური მიმართულება, რაც უეჭნარეს ყოვლისა გულისხმობს პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას. პროფილაქტიკური მედიცინის შემადგენელი ნაწილია სანტარულ-ჰიგიენური განათლებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ფართო პროპაგანდა.

სწორედ ეს არის რესპუბლიკაში მოსახლეობის ჯანდაცვის მაგისტრალური გზა, რომლის რეალიზაციაც მედიკოსთა ძირითადი ამოცანაა.

თავიანთ პროფესიულ ზეიმს რესპუბლიკის მედიკოსები მიღწევების გარდა არსებული პრობლემების დაძლევაზე ზრუნვითაც ეგებებიან. პრობლემები კი ჯერ კიდევ მრავლად დგას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მთელი ჩვენი საზოგადოების ძალისხმევა ამჟამად მიმართულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ძირეული გარდაქმნისა და მისთვის საჭირო დინამიზმის მინიჭებისათვის.

სწორედ ამ პოზიციიდან გამომდინარე ფასდება დღეს რესპუბლიკის სახალხო ჯანმრთელობის დაცვის, მისი ყველა რგოლის საქმიანობაც.

მართალია, უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დახმარებითა და მხარდაჭერით ცოტა რამ როდი გაკეთდა, მაგრამ ჯანდაცვის სისტემაში, როგორც სხვა დარგებში, აღინიშნებოდა განვითარების ექსტენსიური ტენდენცია და თანამედროვე დონისაგან ჩამორჩენა, სხვა ნეგატიური მოვლენები. მაგალითად, რესპუბლიკაში ექიმების დიდი რაოდენობის მიუხედავად, მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხარისხი და დონე, სამწუხაროდ, არ შეესაბამება საღდეისო მოთხოვნებს, არ გვაკმაყოფილებს მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საქმიანობაც, საწოლთა ფონდის ნორმატიული ნაკლებობის პირობებში დღემდე მისი სიმძლავრის მხოლოდ ორ მესამედს ვიყენებთ და ა. შ.

ბუნებრივია, რომ გამოსავალი ერთია — მუშაობის საფუძვლიანი გარდაქმნა, არსებული პრობლემებისადმი ჩვენი მიდგომის ძირეული შეცვლა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში სახალხო ჯანმრთელობის დაცვას განსაკუთრებული როლი და ადგილი გააჩნია. სწორედ ამიტომ აუცილებელია სამედიცინო სამსახურის ფუნქციონირების მთელი რიგი ძირეული მომენტების ახლებურად გააზრება. საჭიროა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა არსებული ძალისა და საშუალებების უფრო ეფექტიანად გამოყენების პირობებში ფუნქციონირებდეს; აუცილებელია დარგის დაგეგმვისა და მუშაობის ორგანიზაციის ოპტიმალური სისტემის შექმნა, სამედიცინო კადრებთან მუშაობის ახლებურად გარდაქმნა, სამეცნიერო გამოკვლევების გაღრმავება, მათი შედეგების პრაქტიკაში დანერგვის მწყობრი სისტემის შემუშავება.

აღნიშნულის რეალური ხორცშესხმისათვის საჭიროა მხარი დაეუჭიროთ წინადადებებს ჯანდაცვის ორგანოებისა და ხელმძღვანელთა უფლებების გაფართოების და ამასთან მათი პასუხისმგებლობის გაზრდის თაობაზე.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აგრეთვე მუშაობის ისეთი ფორმების ძიება, რომელიც საშუალებას მოგვცემს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სახსრები აქტიურად გამოვიყენოთ შრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. სწორედ ამას ემსახურება მიზნობრივი, კომპლექსური პროგრამის „ჯანმრთელობა“ დამუშავება რესპუბლიკის ყველა რეგიონისათვის.

მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების საქმეში მთავარ ფიგურას უბნის ექიმი წარმოადგენს. სწორედ ამიტომ აუცილებელია უპირველესად ჯანდაცვის სისტემის პირველადი რგოლის საფუძვლიანი გარდაქმნა, ამბულატორიო-პოლიკლინიკებიც ბ ი ს, როგორც სამკურნალო დაწესებულებების, როლის შემდგომი გაფართოება. ამ საქმეშიც არაერთი სიახლე მოგველის. ვმუშაობთ რესპუბლიკური დიაგნოსტიკური ცენტრის შესაქმნელადაც, რომელმაც დაავადებათა დიაგნოსტიკისათვის კვლევის ყველა თანამედროვე მეთოდის გამოყენების საშუალება უნდა მოგვცეს.

გადასახედია სტაციონარული სამედიცინო სამსახურის როლიც და სტრუქტურაც. იგი დღემდე ექსტენსიურად ვითარდება, რის გამოც ზოგიერთი პროფილის საწოლები საკმარისი არ არის, ხოლო სხვა პროფილის საწოლები დაუტვირთავია. რესპუბლიკაში საჭიროა არა საწოლთა ფონდის შემდგომი ზრდა, არამედ ერთ საწოლზე ხარჯების გაზრდა, მათი ხელახალი ტექნიკური აღჭურვა და ამ გზით სტაციონარული სამსახურის ინტენსიფიკაცია.

გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ სერიოზული გარდაქმნა სჭირდება სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებმა იმოქმედონ უფრო პრინციპულად და მასშტაბურად.

ჩვენი საქმიანობის გარდაქმნის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა იყოს ჯანდაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სწრაფი განვითარება. სამწუხაროდ, ამ მხრივაც მრავალი საკითხი მოუგვარებელია. უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად გამოიყენება სამედიცინო დაწესებულებების ქსელის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები. მაგალითად, მეთრეთმეტე ხუთწლედში ვერ ავითვისეთ გამოყოფილი კაპიტალდაბანდების მეხუთედი ნაწილი. სამწუხაროდ, ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდით შარშანაც.

უკეთესი მდგომარეობა არც ქსელის განვითარების დაგეგმარებაშია. არადამაკმაყოფილებელია მატერიალური ბაზის ტექნიკური და კომუნალური მომსახურების მდგომარეობაც.

პარადოქსულია სიტუაცია, როდესაც ექიმ

ამ ყდაშემოცრეცილ საქაღალდეს უცნაური თვისება ახასიათებს. ზონარს გამოხსნი და როგორც პანდორას გრძნეული ყუთიდან, ისე ამოიხვეტება საქაღალდედან უხილავი ქარბორბალა, დეხთის სუნს ამოიტანს, აფეთქებულ გზებზე გაგიყოლებს, საკვდილის უფსკრულებში ჩაგახედებს...

რვეულის გაყვითლებულ ფურცლებზე, კიდეშემოხეულ ფოტოსურათზე, ძველისძველი გაზეთების ამონაჭრებზე ჩვენი ბავშვობა და სიყმაწვილე გარინდულა, მეხსიერების ხეს ოდნავ შეარხევ და ტოტებიდან, როგორც ბეღურების გუნდი, ისე წამოშლება მოგონებათა ჯარი.

ზოგი სამკუთხა ბარათი ისეთია, კიდევ უფრო შეგიჭმეხნის ისედაც დაღარულ შუბლს, ზოგ გაფერმკთალებულ ფოტოს ღიმილს მიაგებებ, სხვას დახედავ და თვალებში ცრემლი ჩაგუბდება...

— ტალახაძე!

— ვარ!

...ლეტენანტი საზენიტო ბატარეის შემადგენლობის სიას კითხულობს. იმ დღეს აქ, ბატაისკში, როსტოვის გარეუბანში, ნაგრეგებად ქცეული რკინგზის ვაგზლის შენობასთან ქართველმა მეზენიტე ქალიშვილებმა პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღეს, ვაქკაცურად მოიგერიეს მტრის თვითმფრინავების შემოტევა.

თინა ცუცქირიძე, თამარ ჰაქსაშვილი, თამარ ბლუაშვილი, მარო კომლაძე, სონია ხაჩიძე, ნატო დოკაძე, იულია მოწონელიძე...

... აი, ამ გაყვითლებულ ფურცელს ზვერდულად დიაგონალზე თუ გადაკეკეცვ, სამკუთხა ფრონტული ბარათი გამოვა. ეს ბარათი 1943 წლის ზაფხულში მიიღო თამარ ტალახაძემ. ფარატინა ქაღალდს ცოცხლად შემოუნახავს იმ ცრემლიანი დღის ყველა წვრილმანი.

ფოსტა მიიღეს ფრონტის ხაზზე. ქეთევან ხაჩიძე ნოვოროსიისკის მიმართულებიდან მეგობრებს სამწუხარო ამბავს ატყობინებდა: მძიმედ დაიჭრა ელენე ჩადუნელი, ჩვენი თანაკურსელიონა...

...ბევრი მთგანი თანასკოლელი იყო, ზოგი — მეზობელიც კი, სხვები ერთად სწავლობდნენ ხაშურის პედაგოგიურ სასწავლებელში.

ომი რომ დაიწყო, სასწავლებლის მესამე კურსის მოსწავლეს თამარ ტალახაძეს ის-ის იყო 19 წელი შეუსრულდა; ფრონტზე მოხალისედ წასვლის განცხადებით კომკავშირის რაიკომს მიმართა.

რაიკომის მდივნის მაგიდაზე სხვა ოცდათხუთმეტი განცხადებაც იდო, თითქოს ერთი კაცის დაწერილიაო, ყველა მთგანი ერთნაირად იწყებოდა:

„მსურს მოხალისედ წავიდე ფრონტზე...“

ოცდათექვსმეტი ფანმცხადებელი, კოტტად გამოწყობილი ოცდათექვსმეტი გულანთებული ქალიშვილი რაიკომის მდივნის ოთახში პასუხს ელოდა...

1942 წლის 12 აპრილს ხაშურიდან მოხალისე ქალიშვილების პირველი ნაკადი გავიდა, 16 აპრილს — მეორე, გზა — მეზენიტეთა მოსამზადებელი კურსები ბაქოში, შემდეგ — ფრონტი: ჩრდილო კავკასია, როსტოვი, ნოვოროსიისკი...

გზიდან მისწერა მშობლებს მოლითში პირველი წერილი თამარ ტალახაძემ — ბოდიშობდა, ისე წამოვედი, ვერც გაგაგებინეთ, არადა, წინდაწინ რომ მეთქვა, მეშინოდა, განზრახვაზე ხელი არ ამაღებინონ-მეთქი. არ იდარდოთ, ყველაფერი კეთილად დამთავრდებაო.

თამარ ტალახაძის დივიზია პირველად როსტოვთან შეება მტერს.

...— ხან ცა იწვოდა, ხან მიწა, — იგონებს მრავალგანსაცდელს გამოვლილი რვა საბრძოლო ჯილდოს კავალერი ქალი, — ხანაც ისეთი ჯოჯოხეთი დატრიალდებოდა, ან ცა სად იყო, ან მიწა, ვერ გაარჩევდი. მახსოვს, 1944 წელს ლვოვ-დროგობიჩის მიმართულებით სწორედ რომ ჯოჯოხეთი დატრიალდა. მტერს საფულდაგულოდ გამაგრებინა თავდაცვის ხაზი, გააფთრებით ცდილობდა სტრატეგიული პლაცდარმის შენარჩუნებას.

ჩვენმა ნაწილებმა თავდაცვის ხაზი გაარღვიეს და მალე პოლონეთის ტერიტორიაზე გავედით...

...საქაღალდეში გამხმარი იის პაწია კონა ვიღაცას სასოებით მიუბნეევია მუყაოს ქაღალდზე.

ორმოცდახუთის აპრილის უკანასკნელი დღეები იდგა. ბრძოლები ბერლინის მისადგომებთან მიმდინარეობდა. მეზენიტეთა პოლკი პატარა დაბაში შევიდა. თავიანთი სახლების ფანჯრებზე მოსახლეობას თეთრი დროშები გადმოეფინა.

პაწია გერმანელი გოგონა ფარაჯამისხმულ ახალგაზრდა ქალთან მივიდა და იების კონა მიაწოდა..

შორიდან ზარბაზნების გრიალი ისმოდა. სულს ღიფავდა ბერლინი.

ბედმა ინება: აქ დაამთავრა თამარ ტალახაძემ თავისი ფრონტული გზა, სადაც ჰიტლერელთა უკანასკნელი წინააღმდეგობა დასრულდა.

1945 წლის 30 აპრილს თამარ ტალახაძის 520-ე გვარდიული პოლკი, რომელიც უკრაინის მეოთხე ფრონტის პირველი გვარდიული არმიის შემადგენლობაში იბრძოდა, ბერლინის მისადგომებიდან სამხედრო მარშით პრაღისაკენ დაიძრა, 7 მაისს ალყა შემოარტყა პრაღაში გერმანელთა დაჯგუფებას, 9 მაისს კი ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში, ისევე როგორც განთავისუფლებული ევროპის ქვეყნების ქალაქებსა და სოფლებში, გამარჯვების დროშები ფრიალებდა.

ევროპაში მშვიდობა მოვიდა.

...აი, ეს ფოტოსურათიც სწორედ გამარჯვების დღეს, 9 მაისს, პრაღაშია გადაღებული. სურათი დივიზიის ფოტოგრაფმა გადაიღო (ქალბატონი თამარი წუხს, ეს ისე უცაბედად მოხდა, თმის წესიერად დავარცხნაც კი ვერ მოვასწარიო). ფაშისტების უკანასკნელმა პოლკმა ეს-ეს არის იარაღი დაყარა. აი ის რეკოლვერი, წელზე რომ ჭკიდია, სურათის გადაღებამდე რამდენიმე წუთით ადრე თამარ ტალახაძემ ჰაერში დაცალა, თანაბოლკელებთან ერთად სალუტი მისცა ახალი, მშვიდობიანი ცხოვრების დაწყებას.

ორმოცდაორ გაზაფხულს ჩაუვლია იმ ღირსსახსოვარი დღიდან...

ზის ახლა მაგიდასთან გათეთრებული ქალი და, ვინ იცის, მერამდენედ ათვალიერებს ძველისძველ ფოტოსურათებს, გაცრეცილ ფრონტულ ბარათებს, გაზეთებიდან ამონაჭრებს.

ეს ის საქაღალდეა, საიდანაც ხან აფეთქების ხმა ესმის კაცს, ხან ტყვია გაიწივლებს ყურთან, ხანაც გამხმარი იების კონა გაგინათებს სულის კუნჭულებს.

ახლა გვიანი ღამეა, შვილებსაც სძინავთ, შვილიშვილებსაც. თამარი ფრთხილად ალაგებს საქაღალდეში მაგიდაზე „გიფენილ“ მოგონებებს...

ვიდრე სინათლეს ჩააქრობდეს, ერთხელ კიდევ დახედავს მძინარე შვილიშვილებს, სანამს გაუსწორებს, თვალებით მიესიყვარულება:

— არა, აღარ განმეორდება ის, რაც იყო, იძინეთ, გენაცვალოთ ბებო, შვიდი, უშფოთველი ძილით...

გ. ვაშაკიძე.

გარდასულ დღეთა სუნთქვა

თამარ ტალახაძის ომი და მშვიდობა

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ესპანეთის სიახლოვე

მუხრან მაჭავარიანი ესპანეთიდან ჩამოვიდა, იქ სულ ექვსი დღით ყოფილა.

— ალბათ, ქვეყნის გასაცნობად მცირე დროა...

— რა თქმა უნდა, თუმცა, რაც ვნახე, მოლოდინს გადააჭარბა, ვნახე შშვენიერი ქვეყანა, თავაზიანი, ულღვია, ხალისიანი ხალხი, რომელსაც, ეტყობა, დიდი სიმპათიები აქვს ჩვენდამი.

— ბატონო მუხრან, ეს სიმპათიები ბევრმა კეთილშობილურმა ფაქტმა განაპირობა. მარტო ამის გახსენება რად ღირს: 1937 წლის ზაფხულში, ზუსტად 50 წლის წინათ, ჩვენმა ქვეყანამ სიყვარულით მიიღო და შეიფარა ესპანელი ბავშვები, რომლებიც საშობლოდან ომსა და ფაშისტებს გამოარიდეს. საქართველოშიც ბევრი ჩამოსულა მაშინ...

— მახსოვს... ათი წლისაც არ ვიყავი, მაგრამ ეს ფაქტი მახსოვს. მერე, მოგეხსენებათ, საქართველო გახდა ესპანელი ბავშვების მეორე სამშობლო, აქ გამოვიდნენ ისინი ცხოვრების ასპარეზზე, შექმნეს ოჯახები... ერთი სიტყვით, ჩვენ ხალხებს შორის სიმპათიების საფუძველი მართლაც არის... ძალზე გულობილად გვმასპინძლობდნენ ყველგან.

— რა მიზნით იყავით იქ?

— შეიძლება ცოტა გაგიკვირდეთ: მე არა ვყოფილვარ მწერალთა დელეგაციაში და არც იქაურ მწერლებთან მქონია შეხვედრები, ესპანეთში, ბარსელონაში უნდა გახსნილიყო ტრადიციული საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა, მადამხვდურებში — საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებში ჩვენი ირაკლის ვაჟიშვილი ზურაბ აბაშიძეც შევიცანით. მოგვიანებით ზურაბმა ოჯახშიც მიგვიწვია, ბინა ცნობილი ესპანელი პოეტის სიმენესის ქუჩაზე აქონია და მე გავეწყმარე: სპეციალურად ხომ არ გააკეთეს, ხომ არ იცოდნენ ქართველი პოეტის შვილი რომ ხარმეთქი...

ხუმრობა იქით იყოს და, ჩვენ უმალ ვიგრძენით, თუ რა დიდი ავტორიტეტი აქვს საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებში ზურაბ აბაშიძეს.

...გამოფენაზე საქართველოს განყოფილების გახსნისას ო. ვარძელაშვილმა ილაპარაკა საბჭოთა საქართველოს კულტურის, სახალხო შეურნეობის ბოლოდროინდელ მიღწევებზე, იმაზე, თუ რა აუცილებელია ხალხების, ქვეყნების დაახლოებისათვის ასეთი სახის ურთიერთობა. გამოფენისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს ესპანეთის, უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო ფირმებმა, კომერსანტებმა... გვასახელა ანსამბლმა „ივერიამ“, რომლის კონცერტები გამოფენის ტერიტორიაზე ქუბით მოიხსენია ადგილობრივმა პრესამ. მოიწონეს ჩვენი მოდელების სახლის ნამუშევრებიც...

— რაგინდ „პროზაულ“ საქმეზეც უნდა ყოფილიყავით, თქვენ, ალბათ, მაინც გადაეყრებოდით, ბატონო მუხრან, ესპანეთში ისეთ ქართველებს, რომლებიც საქართველოს გაგახსენებდათ...

— შენ ეგა თქვი... ორი ბასკი გავიცანი, ახალგაზრდები, კომერსანტები. ორივემ შესანიშნავად იცოდა საქართველო, თუმცა აქ ნამყოფი არ არიან. ერთს — პაბლო დე ასკარატეს საკუთარი დეტუნელებიც კი აქვს ბასკებისა და ქართველების ნათესაობის შესახებ. იგი, რა თქმა უნდა, ენათმეცნიერი არ არის, უბრალოდ, განათლებული კაცია, და თავგამოდებით იცავს თეორიას, თითქოს, ოდესღაც საქართველოდან წამოსულიყვნენ მისი წინაპრები პირენეის ნახევარკუნძულზე, ბასკებისა და ქართველების ნათესაობის ორი, მისი აზრით, უმტკიცესი საბუთი აქვს პაბლო დე ასკარატეს: მთელ დედამიწის ზურგზე მხოლოდ ქართველები და ბასკები უნასკვავენ ერთნაირად ხარებს აპეურებსო, მეორე საბუთი კი უფრო მტკიცეა: ხორბლის ერთი უნიკალური ჯიშია, რომელიც მხოლოდ თქვენთან და ჩვენთან არის შემორჩენილი, პოდა, რომ წამოვიდნენ თქვენგან ჩემი წინაპრები, რა თქმა უნდა, თესლს წამოიღებდნენო...

მეორე ბასკი — აქილინო მატა მიერი შესახედაობით, ქცევით მართლაც ჩვენებური გეგონებოდათ, ხოლო, როდესაც სახლში მიგვიწვია და მამამისი გაგვაცნო, ჩვენს წინ პირწავარდნილი ზემოიმერელი იდგა. ისე გადგეკვეა თან, როგორც ჩვენ ვიცით ხოლმე. გამომშვიდობებისას ჩანთები ჩამოგვართვა და ხილით აგვივსო...

ვინც ესპანეთში ნამყოფია, დამერწმუნება: ესპანელები მშობლიური ენის გარდა, თითქმის არ ლაპარაკობენ სხვა ენაზე, შეიძლება სავაჭრო ადგილებში გაიგონოთ ზოგჯერ უცხო ენა. დავერწმუნდი, რომ ძალზე გულადი ხალხია, მართალია კორიდაზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ტელევიზორში ვნახე პირდაპირი რეპორტაჟი: ეს ნაღდად სიკვდილთან თამაშს ნიშნავს...

ერთი სიტყვით, დიდად კმაყოფილი ვარ, რომ ასე თუ ისე გავიცანი ესპანეთი და ესპანელები.

ინტერვიუერი

ვ. მარდალეიშვილი.

სურათებზე: ბარსელონის საერთაშორისო ბაზრობის საბჭოთა პავილიონი; ამ დარბაზში იყო წარმოდგენილი საქართველოს ექსპოზიცია.

ო. თურქიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირი და, კერძოდ, საქართველო, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ პატივი დამდო ამ მნიშვნელოვანი აქტის მონაწილე ვყოფილიყავი.

საქართველოს დელეგაცია სულ სამი კაცისაგან შედგებოდა. ხელმძღვანელი — რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ალამხდომარის მოადგილე ომარ ვარძელაშვილი, საქართველოს სსრ საგაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გურამ ახვლედიანი და მე. ექვს დღეში ესპანეთის სამი ქალაქი ვნახეთ: მადრიდი, ბარსელონა და ტოლედო. თავდაპირველად მადრიდში ჩაეფრინდით და უსაზღვროდ გვიხარეთ, როდესაც დამთვალიერებელ ობიექტებს ეწვიეთ, ეს ადგილები ჩვენ ადრე ფილმებიდან, ფოტოებიდან, ფერწერული ტილოებიდან ვიცნობდით. ეს ადგილები ჩვენ ადრე ფილმებიდან, ფოტოებიდან, ფერწერული ტილოებიდან ვიცნობდით. ეს ადგილები ჩვენ ადრე ფილმებიდან, ფოტოებიდან, ფერწერული ტილოებიდან ვიცნობდით. ეს ადგილები ჩვენ ადრე ფილმებიდან, ფოტოებიდან, ფერწერული ტილოებიდან ვიცნობდ

მშვენება ქართული კრიტიკული აზრისა

გერონტი ქიქოძის

დაბადების 100

წლისთავის გამო

დღეს ჩვენ რაღაც განსაკუთრებული მოკრძალებით ვიხსენებთ გერონტი ქიქოძეს, შესანიშნავ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. მის სახელთან სიტყვის ხელოვნების დარგში არაერთი სიახლეა დაკავშირებული.

საკმარისია თქვას, რომ მან დაიფუძნა ჩვენში სრულიად ახლებური კრიტიკული პროზა, რომელიც დღესაც სანიმუშოა როგორც აზროვნების წესით, ისე მხატვრულ მოვლენათა იშვიათი ანალიზით.

იგი ქართული ენის ჭეშმარიტი არტისტი იყო. ეს მაღალი თვისება კიდევ უფრო ხელშესახებად გამოვლინდა მის უბადლო თარგმანებში, რომელთაგან მეტი წილი დღეს ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის კლასიკას განეკუთვნება.

გერონტი ქიქოძე გამორჩეული იყო თავისი შეუბღალავი ბიოგრაფიით, პიროვნული ღირსებებით, პრინციპული და უკანდაუხეველი — იგი მაღალი რანგის ტიპური ინტელიგენტი გახლდათ. „გერონტი ქიქოძე არ იყო ისეთი მწერალი, რომელიც სიკვდილის შემდეგ ან ქრება ან კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ის სიცოცხლეშივე იყო მნიშვნელოვანი და საყვარელი“. ეს სიტყვები დემნა შენგელაიას ეკუთვნის. მართლაც, სიცოცხლეშივე მოიპოვა მან განსაკუთრებული სახელი. მაგრამ ისიც ნიშანდობლივია, რომ გერონტი ქიქოძის მწერლური ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენს დროს, ახალი თაობების მოსწავლასთან ერთად.

* * *

XX საუკუნის დასაწყისიდან ჩვენში ჩამოყალიბდა გონებრივი მოღვაწის სრულიად ახალი ტიპი. ასეთი ტიპიური მათი ინტელექტუალური სრულყოფის გზაც მეტი წილი მათ შორის განათლებას რუსეთის და ევროპის საუკეთესო ცენტრებში იღებს. მაგრამ ეს არ იყო მათთვის რაიმე თვითმიზანი ან მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის საშუალება. მათი მრწამსი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ხალხის ყოველმხრივი აღორძინებისაკენ იყო მიმართული. „მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია...“ ილიას ადრე ნათქვამი სიტყვები თითქოს გულისხმობდა კიდეც სამომავლოდ მაინც ამგვარი იდეალის განხორციელებას.

მოვიდა, მე არ შევცდები თუ ვიტყვი, „დიდი თაობა“, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. თითქოს კიდევ ერთხელ განხორციელდა ქართველი ხალხის იმანენტური სწრაფვა, რომელიც მსოფლიოს მოწინავე კულტურული მოძრაობისაკენ იყო ყოველთვის მიმართული. ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი მისწრაფება ისევ და ისევ საკუთარი ხალხის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას ისახავდა მიზნად. გერონტი ქიქოძე როგორც ბიოგრაფიით, ისე შემოქმედებითი მრწამსითაც ამ დიდი თაობის ერთი კვეზეზე აღიარებული წარმომადგენელია.

გაივლის წლები და უკვე ხანდაზმული მწერალი ასე შეაჯამებს გზას, რომელიც, როგორც ითქვა, იმთავითვე გამორიცხავდა დამლუპველ ცალმხრივობასა და ეროვნული ტრადიციების უგულებელყოფას:

„ქართული კულტურის ისტორიას ჯერ კიდევ ცუდად ვიცნობდი, მაგრამ სწორი ინტუიციით ვგრძნობდი, რომ მხოლოდ ჩემი სამშობლოს კულტურულ წარსულში შემეძლო მეპოვნა სანათური, რომლებიც ბნელ გზებს გამინათებდა სკეპტიციზმის ლაბირინტებში“. აქვე შენიშნავ იმასაც, რომ ეს სიტყვები ამოღებული გახლავთ მწერლის ცნობილი მოგონებიდან („განთიადიდან შუადღემდე“), რომელიც ავტორის ბიოგრაფიის გადმოცემასთან ერთად, ფაქტობრივად ორი საუკუნის გზაჯვარედინზე მდგომი მთელი თაობის სულიერი ცხოვრების მატიანეა.

გერონტი ქიქოძის ბიოგრაფია ტიპურია იმ თვალსაზრისითაც, რომ სხვა მის თანატოლთა მსგავსად, ისიც სოფელში აღიზარდა და შემდეგ შეუერთდა იმ საზოგადოებას, რომელიც თანდათან ყალიბდებოდა ჩვენს აღორძინებულ ქალაქებში.

მისმა ბავშვობამ და ადრეულმა სიყმაწვილემ განვლო გურიის ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეში, კერძოდ კი, სოფელ ბახვში, რომელიც გაშენებულია ბახმარის მთიდან დაქანებული მთის მდინარის — ბახვისწყლის ნაპირებზე.

საქართველოს აღორძინებისაკენ მუდმივად სწრაფვის საწინდარი ალბათ ისიც იყო, რომ იმ ხანად თითქმის ყოველ სოფელში შეხვდებოდით ოჯახებს, რომლებიც კულტურით, სულიერი დახვეწილობით ამეღავნებდნენ ძველ ქართულ ტრადიციათა უკვდავებას. ამ თვალსაზრისითაც ტიპური იყო ქიქოძეთა ოჯახი, მთელი საგვარეულო. საკმარისია ითქვას, რომ ქიქოძეთა სახლეულობამ შემდეგ ჩვენს ქვეყანას მისცა არაერთი გამოჩენილი ადამიანი სულიერი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში. სწორედ ამ კუთხიდან გახლდათ ქართული კულტურის ასპარეზზე ისეთი გამოჩენილი პიროვნება, როგორიცაა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე).

მე აქ შემთხვევით არ გამიხსენებია გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც, ილია ჭავჭავაძის სიტყვით, სხვა ღირსებებთან ერთად იყო ქართული ენისა და კულტურის ჭეშმარიტი „მწე და მფარველი“. სწორედ გაბრიელის დამსახურებაა სოფელ ბახვის დაწინაურებაც სწავლა-განათლების საქმეში. მან აქ საკუთარი სახსრებით საფუძველი ჩაუყარა ეროვნული ორიენტაციის მქონე სახალხო სკოლას. ისიც ნიშანდობლივია, რომ ამ სკოლის ერთი პირველი მასწავლებლები იყვნენ პედაგოგიური და ენათმეცნიერული ნაშრომების ავტორი (მაგალითად, „გურული ლექსიკონი“ და სხვ.) გიგო შარაშიძე და მისი მეუღლე ნინო.

იშვიათი პატივისცემითა და სიყვარულით იგონებდა შემდეგ მათს ღვაწლს გერონტი ქიქოძე. ბალში გამართული სკოლა, ძველებური აკადემიის მსგავსი, ბიბლიური წვერით დამშვენებული მასწავლებელი, სიბრძნის ოსტატი, რომელიც არა მარტო სასწავლო დისციპლინებს ასწავლიდა, არამედ წვრთნიდა მათ უფნარეს მაღალი ზნეობითა და ეროვნული სულისკვეთებით.

ასეთი ნათელი იდეალებით გავიდა ცხოვრების დიდ გზაზე და ამ იდეალების ერთგული დარჩა იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

* * *

გერონტი ქიქოძეზე ბოლო ხანებში საკმარისად ბევრი დაწერა და მომავალში ალბათ მეტი ითქმება. მაგრამ ცოტა არ იყოს, უცნაური ჩანს შემდეგი: მათმა თითქმის არც არის საუბარი ცხოვრების იმ მძიმე გზაზე, რომელიც მწერალმა გაიარა. ჩემი აზრით, ამის მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ თავის მოგონებებში იგი ამ საგანზე არ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. ასეთი იყო იგი ცხოვრებაშიც. არ უნდოდა წამებულ გმირთა შორის წარმოესახა საკუთარი პიროვნება — ესეც მისი იშვიათი ადამიანური ქვეყნობის დამახასიათებელი ნიშანი იყო.

ცხოვრების გზა კი ძნელი და დაბრკოლებებით აღსავსე ერგო. სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ჯერ დედა, ხოლო შემდეგ მამა გარდაეცვალა. იგი მძიმე ინტელექტუალური შრომით ინახავდა ოჯახის უმცროს წევრებს და თვითონაც ასეთივე შრომით იკვებავდა სამომავლო გზას. მოგახსენებათ, თუ რა ძალისხმევასა და მატერიალურ სახსარს ითხოვდა მაშინ უცხოეთში უმაღლესი განათლების მიღება.

მწერლის ბიოგრაფიიდან ისიც ცნობილია, რომ მეფის მთავრობის რეპრესიების გამო რამდენჯერმე იყო პატიმრობაში.

რაც შეეხება მისი ცხოვრების მომდევნო მონაკვეთს, უკვე ჩვენს დროს, სამწუხაროდ, მას ამ პერიოდშიც არ მოჰკლებია გულისტკივილი. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ მძიმე შეცდომებს, რომლებიც უახლოეს წარსულში იყო დაშვებული შემოქმედი ინტელიგენციის მიმართ.

სინამდვილეში იგი გარიყული აღმოჩნდა აქტიური ცხოვრებიდან და ეს, ჩემი აზრით, იძულებითი არჩევანი უფრო იყო, ვიდრე მისი მიდრეკილება შედარებით მშვიდი ცხოვრებისადმი. მაგრამ მიუხედავად ასეთი ვითარებისა, იგი არ შეჩერებულა შუა გზაზე.

მისი სულიერი ძალები შემოქმედებითი დაშრეტისაგან გადაარჩინა ალბათ მისივე ოჯახურმა გარემომ, მის გარშემო შემოკრებილმა მეგობართა იშვიათმა წრემ და, რაც მთავარია, იმ გარდაუხდელი ვალის შეგნებამ, რომელიც საკუთარი ქვეყნის წინაშე მოეპოვება ყოველ ზნეკრულ პიროვნებას.

* * *

გერონტი ქიქოძის დამსახურება კი ქართული კულტურის წინაშე ძალზე მნიშვნელოვანია და მომავალში კვლავაც მოელის თავის შეფასებელს. ზემოთ უკვე ითქვა და აქაც გავიმეორებ, რომ ბატონი გერონტი ერთი პირველთაგანია, ვინც ქართული კრიტიკული აზრის ახლებური ფორმები მოსინჯა, ხოლო შემდეგ დაამკვიდრა კიდეც. თანამედროვე ქართული კრიტიკული აზრი წარმოდგენილია გერონტი ქიქოძის სახელის გარეშე.

გერონტი ქიქოძემ, ასევე ჩინებულ რამდენიმე თანამოკალმესთან ერთად, ერთბაშად გაფფართოვა კვლევის თვალსაწიერი და ქართული კულტურა მსოფლიო კულტურის ისტორიის ძირითად პროცესებთან კავშირით წარმოადგინა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სამაგალითოა მისი პოზიცია. იგი ალტაციებული საკუთარი ხალხის შემოქმედებითი ენერგიით, მაგრამ მისთვის უცხოა რაიმე გაზვიადება ან ცრუ პატრიოტული ტენდენციების ოდნავი რეციდივიც კი.

ამიტომაც ასე დამაჯერებლად ჩანს გერონტი ქიქოძის სიტყვები ქართველი ხალხის კულტურული წარსულის შეფასების ჟამს. მე აქ ვგულისხმობ მის ერთ-ერთ ადრეულ წერილს „ენა და ეროვნული ენერგია“.

ასევე ნიშანდობლივია მეორე მაგალითიც. როგორც ცნობილია, XII საუკუნის ქართული კულტურის უნიკალურ თვისებათა გამო საგულისხმო მოსაზრებები გამოთქვეს უცხოელმა მკვლევრებმა, თუმცა ეს უფრო ანალოგიების ძიება იყო და ამავე შუა საუკუნეთა ევროპული კულტურის გლობალური ხასიათის წარმოჩენას ისახავდა მიზნად. ხშირად ვიგულისხმეთ, რომ ქართული კულტურის ანალიზი ეროვნული ტრადიციების საფუძველზე დაყრდნობით უწინარეს სწორედ ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა წამოიწყეს. დიდ ივანე ჯავახიშვილთან ერთად ზოგადქართული კულტურის ამ მიმართულებით კვლევა გერონტი ქიქოძის სახელთან არის დაკავშირებული, რის მივიწყებაც ისტორიული უსამართლობა იქნებოდა.

გერონტი ქიქოძის წერილი „ხელოვნების ფსიქოლოგიიდან“ დაწერილია ჯერ კიდევ 1915 წელს და, რაც მთავარია, აქ არა მარტო წამოყენებულია თვალსაზრისი ქართულ რენესანსზე, რომელიც მოიცავდა სულიერი კულტურის თითქმის ყველა დარგს, არამედ ტიპოლოგიური პოზიციებიდან უარყოფილია ყოველგვარი მექანისტური გავლენის თეორია.

გერონტი ქიქოძის, როგორც მწერლისა და კრიტიკოსის, მრავალ ღირსებათაგან აქ მინდა აღვნიშნო მხოლოდ რამდენიმე. იგი „სამაგალითო ერუდიციის მქონე მკვლევარი იყო და, როგორც ითქმის, „ადილში ძალაც შესწევდა. მაგრამ ასევე იშვიათი ოსტატობით, მისი კვლევა-ძიების სასწორის პინა მუდამ ეროვნული კულტურისაკენ იყო გადმოხრილი და ამ პოზიციიდან ჭვრეტდა იგი მხატვრული ანალიზების განვითარების ძირითად ეტაპებს. ქართული კულტურის თვითმყოფი ძარღვის მიგნება მიაჩნდა უპირველეს ამოცანად, რადგან კარგად მოეხსენებოდა, რომ თავისთავად ეროუდიციის სიმარტე სრულიადაც არ გამორიცხავს დილეტანტიზმის მაცთუნებელ „ხიბლს“.

გერონტი ქიქოძე არაერთი საგულისხმო აზრი თუ დაკვირვება დაგვტოვა როგორც ესთეტიკის ზოგად, ისე კონკრეტულ ლიტერატურათა (უპირველესად კი ქართულ) განვითარების თავისებურებათა გარშემო. იგი ასაბუთებდა ხელოვნების ეროვნულ მისიას და მიაჩნდა, რომ —ყოველი ესთეტიკური კულტურა ნაციონალურია და ის ხელოვნება, რომელიც ეროვნული სულიდან არ შობილა, არ ეკუთვნის ნამდვილ ესთეტიკურ კულტურას“.

საგულისხმოა ერთი მომენტიც, რაც აგრერიგად გამოარჩევს მის კრიტიკულ ნააზრევს. მისი წერილები თუ ესეისტური ხასიათის ნარკვევები დაკვირვებულია მოსაზრებებით, პრობლემებითა თუ ჰიპოტეზებით. მაგრამ არსად არ იგრძნობა წარმოდგენილ მოსაზრებათა რაღაც განსაკუთრებული სიხიუტით მოძალება, საკუთარ შეხედულებათა უცთომელობის პრეტენზია. იგი კიდეც ამტკიცებს და კიდეც უტოვებს მკითხველს განსასჯელ კითხვებს და მას, როგორც იტყვიან, საუზროდ ნო პროვაციას თანამონაწილედ იგულებს. ამიტომაც წარმოდგენილი მოსაზრებები, თუნდაც არ

ყოველივე ამან, როგორც ჩანს, თავისი ნაყოფი გამოიღო. პირველივე წერილებიდან გამოიკვეთა გერონტი ქიქოძის სრულიად ორიგინალური ხელწერა როგორც ფორმის, ისე პრობლემატიკის წარმოჩენის თვალსაზრისით. ძალზე თავისებურია სტილისტიკა, რომლის უმთავრესი ნიშანი სისადავისადმი სწრაფვა და მკითხველთან გულახდილი დიალოგია. ასეთივე იშვიათი ოსტატობით არის შერჩეული სასაუბრო კილოც, რაც პრინციპის დონემდეა აყვანილი. ამ შემთხვევაში სულ ერთია ავტორი ამა თუ იმ მხატვრულ დეტალზე მიგვანიშნებს თუ ურთულესი ესთეტიკური კონცეფციების გადმოცემას ცდილობს. სტატყვის დაუფლების ასეთი შინაგანი არტისტიზმი მხოლოდ და მხოლოდ სხვა რიგის ნიჭიერებაზე მეტყველებს.

სრულიად ცალკე საუბრის თემაა მისი, მართლაც, დაუფასებელი ღვაწლი თარგმნილი ლიტერატურის დარგში. შეიძლება ითქვას კიდეც, თუ XIX საუკუნის ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურას სათავეში ივანე მაჩაბელი ედგა, ჩვენ დროს ქართული კულტურისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი დარგი გერონტი ქიქოძის უპირატესი გავლენის ნიშნით წარიმართა. ამის დასტურად მარტო „ტრისტან და იზოლდა“, ბალზაკის „მაგრენის ტყავი“ და სტენდალის თხზულებათა თარგმანები იკმარებდა.

გერონტი ქიქოძეს ორიოდე წერილი თუ მოეპოვება თარგმანისა თუ კრიტიკული პროზის ოსტატობის გარშემო, მაგრამ საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკით ამ სწორედ სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა. აღიარებული მეტრის სახელი. მის ვემოვნებას ენდობოდნენ, მის შეხედულებებს (ზოგჯერ ზეპირ საუბარში გამოთქმულს) იხსენებდნენ, იშველიებდნენ ამა თუ იმ საკითხზე ლიტერატურული პაექრობის ჟამს. ერთი სიტყვით, იგი თანამედროვე ქართული მწერლობის ნამდვილი მშვენება იყო.

* * *

საბედნიეროდ, გერონტი ქიქოძეს ჩვენი თაობაც მოეწერო. ახლაც კარგად მახსოვს მისი მდორე მიხრა-მოხრა, საუბრის ჟამს თავის ოდნავი ხრეკა და იუმორით შეზავებული ტაბილი ქართული, თითქმის ყველამ ვიცოდით ის ადგილი მწერალთა სასახლის ბაღში, სადაც გვერდზე თავდახრილს უყვარდა ჩამოჯდომა.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბოლო შეხვედრა, რომელიც დაკავშირებულია ერთ მოგზაურობასთან. იმხანად ხშირად ვიკრიბებოდით მწერალთა სასახლეში და. შაბათ-კვირას ერთად გავდოდით ხან ციხე-კოშკების და მონასტრების სანახავად, ხან კი მიეუვალ გამოქვაბულთა დასალაშქრავად. ასეთ მოგზაურობათა დაულალავი ინიციატორი თბილისში ახლად დაბრუნებული ლევან გოთუა გახლდათ. გადაწყდა, რომ მომავალ კვირას წავასულიყავით რკონის მიდამოებში, სადაც ლევანს შაღლა, კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბული ეგულებოდა. იქვე, ბაღში, როგორც ყოველთვის, იმყოფებოდა გერონტი ქიქოძეც. მოჰკრა თუ არა ყური ჩვენი თათბირის საგანს, სურვილი განაცხადა, რომ კიდევ ერთხელ მოესახულებინა ერთაწმინდისა და რკონის დიდებული სანახები. მას ფეხდაჭმნდა შემოვლილი მთელი საქართველო, მაგრამ ამ დროს ხანდაზმულიც იყო და ახ

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲣᲚᲔᲚᲪᲕᲔᲚᲘᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲛᲔᲡᲢᲘᲔᲚᲘ ბექნუ ხერგიანს, ისევე როგორც მისი თანამებრძოლების უმრავლესობას, ომის წლებში არ ჰქონია მხედრული წოდება. მაგრამ კავკასიონის გმირული დაცვის ისტორიაში ჩაწერილია მისი — იალბუზის ლეგენდარული დაპყრობის მონაწილის, ერთი ამთვალთაგნის სახელი, ვინც ფაშისტური დროშა ჩამოაგდო კავკასიონის ორთავიანი მწვერვალიდან და იქ ალისფერი დროშა აღმართა. მას და თავიანთ სხვა თანამებრძოლებს, რომელთა ომისდროინდელი მამაცობა მაგალითი იყო ამ ცოტა ხნის წინათ სტიქიის შემოტევის დროს, მესტიის რაიონის მცხოვრებლებმა პატივი მიაგეს რაიონულ ცენტრში, კინოთეატრ „საქართველოს“ დარბაზში. აქ გაიმართა ვეტერანებისათვის ჯილდოების, დიდი სამამულო ომის მონაწილეთა განმასხვავებელი ნიშნებისა და მოწმობების გადაცემის საზეიმო ცერემონია.

იმისათვის, რომ ეს სასახარულო მოვლენა მომხდარიყო, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის თანამშრომლებმა დიდი საძიებო მუშაობა გასწიეს. დაახსტეს იმ ოთხასი სვანის სიები, რომლებიც განსაკუთრებული დანშნულების რაზმში შედიოდნენ. ეს რაზმი კი 242-ე მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში იყო და პასუხსაგებ დავალებებს ასრულებდა კავკასიის უღელტეხილებზე. რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოებდა მიმოწერა სხვადასხვა საარქივო დაწესებულებასთან, მოიძებნა ათობით დოკუმენტი. მათ შორის 1942 წლის 17 ნოემბრის ბრძანებაც „სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიშნო შესრულებისა და ამ დროს გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის“, რომელსაც ხელს აწერს 46-ე არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი კ. ლესელიძე, განსაკუთრებული დანშნულების რაზმის 28 მებრძოლის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

შეთხელდა დღეს იმათი რიგები, ვინც ამ რაზმში შედიოდა, ცოცხლად დარჩენილები კი სათუთად ინახავენ ერთადერთ დოკუმენტს ბრძოლებზე მონაწილეობის შესახებ. ეს არის გაყვითლებული ქაღალდის ფურცელი, პირადობის მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ მისი მფლობელი შედიოდა განსაკუთრებული დანშნულების რაზმში, უფრო ზუსტად არ ჰქონია მხედრული წოდება (სერჟანტები იყვნენ მხოლოდ ოცეულების მეთაურები) და აქვს იარაღის ტარების უფლება. რაზმის ყოფილ მებრძოლებს დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მოწმობა ბოლო დრომდე არ ჰქონიათ...

და აი, კინოთეატრის ხალხით სავსე დარბაზში პარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. უშხვანმა გახსნა საზეიმო კრება. რაიონის სამხედრო კომისარმა მაიორმა ლ. რიეკვაძემ ილაპარაკა ჰიტლერელებზე გამარჯვებაში სვანების, იმ მეომრების წვლილის შესახებ, რომლებიც იბრძოდნენ ფრონტზე.

რესპუბლიკის სამხედრო კომისარმა გენერალ-მაიორმა ლ. შარაშენიძემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება.

განსაკუთრებული დანშნულების რაზმის ყოფილ მებრძოლთა დიდ ჯგუფს სამამულო ომის ორდენები, მედლები, „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წელი“ და ომის მონაწილეთა მოწმობები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა.

მესტიის სკოლის უფროსკლასელებმა დაჯილდოებულთ მიართვეს ყვავილები, პიონერები მიესალმნენ მათ ლიტერატურული კომპოზიციით.

— ჯილდოები, რომლებიც დღეს მივიღეთ, აღნიშნეს რაზმის ყოფილმა შტაბის უფროსმა ა. ჩარკვიანმა და მებრძოლმა გ. ნაკაბამ, — ფაშისტებზე გამარჯვებაში სვანეთის ყველა მცხოვრების წვლილის დიდი დაფასებაა. ეს კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ ავლენს დეკანოზს, რომლითაც დღეს ცხოვრობს საბჭოთა ხალხი — „არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული!“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით პ. გილაშვილმა გულითადად მიუღოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ ჯანმრთელობა, ბედნიერება და წარმატებანი შრომაში. ამ დარბაზში ყველა შეკრებილს ახარებს, რომ თქვენ დღესაც მწყობრში ხართ, ხაზგასმით აღნიშნა მან. თქვენ ხართ იმ ნათელი დღეების მომსწრენი, რისთვისაც იბრძოდნენ ომის წლებში, და რომლებსაც ვერ მოესწრო ბევრი თქვენი თანამებრძოლი ამხანაგი. მარადიულია დაღუპულთა ხსოვნა და იგი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს თითოეულს, ვინც დღეს მათი წყალობით ცხოვრობს მშვიდობიანი ცის ქვეშ.

ასეთი სიფხიზლე, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი საჭიროა გაავებულ სტეკიასთან შეტაკების დროსაც. მისი ზემოქმედებით რესპუბლიკამ მძიმე ზარალი განიცადა, იყო მსხვერპლიც. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ანაზღაურონ ზარალი, შეუმსუბუქონ მდგომარეობა ადამიანებს.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა რაიონის თვითმოქმედი კოლექტივების სადღესასწაულო კონცერტი. (საქინფორმი).

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲔᲑᲘ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ

ᲐᲮᲚᲐ თბილისში წყალბურთელთა ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება მიმდინარეობს. ერთი მხრივ, ერთმანეთს უმაღლესი ლიგის გუნდები ეჯიბრებიან, მეორეს მხრივ კი ძალებს ცდიან სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობათა მონაწილე გუნდები.

ᲡᲐᲪᲐᲕᲨᲘᲠᲝ ჩემპიონატში მოასპარეზე უმაღლესი გუნდების მეორე წრის მესამე დღის მატჩები აწყდა დამთავრდა: მოსკოვის უნივერსიტეტი-ლენინგრადის „ბალტიკა“ — 11:7, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი-შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის (სევასტოპოლი) გუნდი — 6:4, თბილისის „დინამო“-ხარკოვის „ლოკომოტივი“ — 8:7. მოსკოვში შიდაფინალურ შეჯიბრების მესამე დღეს კი ასეთი შედეგები აღინიშნა: ალმა-ათის „დინამო“-კიევის „დინამო“ — 9:8, მოსკოვის „დინამო“-ლვოვის „დინამო“ — 14:14, მოსკოვის „მოსკვიჩი“-კასპიის ზღვის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაკო) — 8:7. თოთხმეტ-თოთხმეტი მატჩის შემდეგ თორმეტ გუნდს შორის პირველ ექვსეულში არიან მოსკოვის „დინამო“ — 26 ქულა, ალმა-ათის „დინამო“ — 19, ლვოვის „დინამო“ — 18 და თბილისის „დინამო“ — 17 ქულა.

ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲝᲣᲚᲘ სკოლების მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობებში მონაწილე ნაკრები კოლექტივების მეორე ტურის მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: **პირველი ჯგუფეული.** „შრომითი რეზერვები“ რსფსრ — 3:10; სამხრეთის ზონა-საბჭოთა არმია — 12:11; **მეორე ჯგუფეული.** უკრაინა-საქართველო — 6:7, დასავლეთის ზონა-„დინამო“ — 3:11.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: სამხრეთის ზონის ნაკრებში შედიან შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები (საქართველოს ჩათვლა), დასავლეთის ზონაში კი ბელორუსიის, მოლდავეთის და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. საბჭოთა არმიის, პროფკავშირების I და II, „შრომითი რეზერვების“ და „დინამოს“ გუნდები საკავშირო ნაკრებ კოლექტივებს წარმოადგენენ. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და საქართველოს გუნდებს, ისინი ცალკე ნაკრებ კოლექტივებად არიან წარმოდგენილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგ, მეთერთმეტე ტურში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯანჯღავა-სტურუას შეხვედრას. სტურუას, რომელმაც წინა ორი პარტია წააგო, პირველი ადგილისათვის ბრძოლის ერთადერთი შესაძლებლობაღა რჩებოდა — აუცილებლად მოეგო უშუალო მატოჩისათვის. ჯანჯღავა კარგად თამაშობდა. მან პოზიციური უპირატესობა მიიღო, მოიგო ხარისხი და პარტია გადაიდო. ამასობაში კრასენკოვმა გამოიყენა მანაგაძის შეცდომა, მოიგო ხარისხი და პარტიაც. ტაბატაძემ დაამარცხა გიორგაძე, გედევანიშვილმა — გაფრინდაშვილი, ხეცურიანმა — ტყებეჩავა. ბაღათუროვი ყაიმზე შეუთანხმდა ეფიმოვს, ჩაჩიბაია — შალამბერიძეს.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

რიგები. ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი (ქ. მონინო)-თბილისის „შევარდენი“ — 4:9, ლენინგრადის „პრიმორეცი“-ქუთაისის „მშენებელი“ — 3:12.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗᲘ. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ჩვიდმეტი ტურის შემდეგ ლიდერია „ჩერნომორეცი“ — 27 ქულა. ქუთაისის „ტორპედო“ 13 ქულით შეთვრამეტე ადგილზეა, ბათუმის „დინამო“, რომელსაც ახლა 12 ქულა აქვს, გათამაშების ცხრილში ბოლოსწინა, ოცდამეერთე ადგილზეა.

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ასპარეზობენ ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელები მეორე ლიგის მეცხრე ზონის გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში. თოთხმეტი ტურის შემდეგ პირველ ოთხეულში დამკვიდრდნენ სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 24 ქულა, სოხუმის „დინამო“ — 17, ფოთის „კოლხეთი“ — 16 და თბილისის „შევარდენი“ (სპი) — 15 ქულა.

ᲫᲘᲣᲓᲝ. მინსკში გამართულ ძიუდოისტ ქალთა შორის გამართულ ბელორუსიის ღია ჩემპიონატზე სხვებთან ერთად წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც: 56 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში უძლიერესის წოდება დაეუფლა **ია ᲜᲘᲣᲚᲘᲫᲔ.** მან ოთხივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. მესამე ადგილზე გამოვიდნენ **რუსუდან კუსპატაძე** (48 კგ), **ქეთევან ჩართოლანი** (56 კგ) და **მანანა ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (61 კგ). საქართველოს ნაკრები გუნდი შეჯიბრებაში მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲒᲖᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ ავტოსტრადა დიდი ხანია უმოქმედოდ არის. 68-ე კილომეტრზე ღვარცოფებმა გადაკეტეს იგი. რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს ქვეგანაყოფები დღისით და ღამით მუშაობენ გზის აღსადგენად. შვიდი-რვა დღის შემდეგ ისინი გზას საეკსპლოატაციოდ გადასცემენ.

ჯერჯერობით კი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში გემგზავრების მსურველებს თავიანთ სამსახურს სთავაზობენ ავიატორები. განახლდა რეგულარული რეისები თბილისსა და ორჯონიკიძეს შორის. იაკ-40 ყოველდღე დაფრინავს. თბილისიდან თვითმფრინავი გადის 10 საათსა და 15 წუთზე (მოსკოვის დროით).

(საქინფორმი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲯᲕᲐᲠᲘ

▼▼

მ. გორკის სახელობის კულტურისა და ტექნიკის რესპუბლიკური სასახლის სახალხო თეატრმა დადგა სპექტაკლი „ვინ არის ის?!“ ოთარ ᲗᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ პიესის მიხედვით. სპექტაკლი აჩვენეს მედიცინის მუშაკთა დღის წინ. დარბაზში მაყურებელთა უმრავლესობას ამ დარგის წარმომადგენლები შეადგენდნენ. კონსულტანტმა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ავლიან ᲗᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პიესაში წამოყენებული პრობლემები.

XI საკავშირო ფესტივალის ფარგლებში მიმდინარე საქალაქო დათვალიერებაში სახალხო თეატრის ნამუშევარი „ვინ არის ის!“ ცნეს საუკეთესო სპექტაკლად და დაუშვეს მეორე რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობისათვის.

წარმოდგენისაგან მილებული შემოსავალი მსახიობებმა გადარიცხეს დასავლეთ საქართველოს სტიქიური უბედურებით დაზარალებული რაიონების დახმარების ფონდში.

▼▼

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოუშვა პროფესორ გ. ფირცხალავას ნაშრომი სათაურით „სკკპ XXVII ყრილობა — შემობრუნების ნიშანსვეტი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში“. მასში გაშუქებულია სკკპ XXVII ყრილობის იდეებისა და გადაწყვეტილებების ისტორიული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

▼▼

დოცენტ ა. ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫეს გადაეცა ბრატისლავის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო — ამოს კომენსკის medali. medali-ს სახელს ატარებს სლოვაკიის უმაღლესი სასწავლებელი. რადიოსახშირბალის კვლევის გაყოფილება, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი უძღვა სამაგვანი, თხუთმეტი წელია ნაყოფიერად თანამშრომლობს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო ცენტრის ბირთვული ფიზიკის კათედრასთან.

▼▼

აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. ი. გუელიას სახელმუზეუმმა ძვლად მოილო უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ტარას შევჩენკოს ფერწერული პორტრეტი. ეს დიდი კობზარის სამშობლოსთან აფხაზი პოეტის მეგობრობის ნიშანია.

ამას წინათ მუზეუმმა უკრაინელი პოეტებისაგან მიიღო უკრაინულ ენაზე თარგმნილი აფხაზური პოეზიის კრებული „აფხაზეთის ყვავილები“. ლატვიის სს რესპუბლიკის სახალხო მხატვარმა ა. გომულმა თავისი ნამუშევარი — დ. გუელიას პორტრეტი აჩუქა მუზეუმს.

ᲡᲐᲙᲓᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 5 საათსა და 00 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში სემიპალატინსკის რაიონის პოლიგონზე განხორციელდა 20-დან 150 კილოტონამდე სიმძლავრის მიწისქვეშა მირთვული აფეთქება.

აღნიშნული გამოცდის მიზანია სამხედრო ტექნიკის სრულყოფა.

ᲕᲘᲜ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲩᲕᲔᲜ?!

ᲚᲔᲜᲘᲜᲐᲙᲐᲜᲘ. 20 ივნისი. (საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი Შ. ᲙᲘᲚᲐᲫᲔ). ერთადერთი სატრანსპორტო სშუალება, რომელიც ლენტებს აკავშირებს ამ დღეებში გარე სამყაროსთან, ეს არის ვერტმფრინავი — უკანასკნელი დღეების კოკისპირულმა წვიმებმა, მეწყერმა და ღვარცოფებმა დაარღვია სოფელ ხოფურის რაიონში გზის აღდგენილი უბნების საეკსპლოატაციოდ გადაცემის ვადები.

ვერტმფრინავის ილუმინატორიდან მოჩანს ნგრევის საშინელი სურათი. მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებიღა დარჩა ლენტეხ-ჩიხარეშის 30 კილომეტრი მოასფალტებული ბაზაკეცილისაგან — მდინარეებსა და ნაკადულებზე თითქმის ყველა ხიდი დანგრეულია. ადიდებულმა ცხენისწყალმა და მისმა შენაკადებმა სამყაროს მოწყვეტა ბევრი სოფელი.

— განუწყვეტელ კოკისპირულ წვიმას თან ახლდა ᲨᲘᲥ-ᲨᲣᲮᲚᲘ, ხოლო 16 ივნისს საღამოს — სეტყვაც, — თქვა ხიხარეულმა მურმან გველესიანმა. — რამდენიმე წუთში დაისეტყვა ხეხილის ნარგავები, მიწასთან გასწორდა ᲮᲝᲡᲢᲔᲚᲘ. ᲩᲜᲐᲓᲒᲘᲚ ბობოქარ მდინარეებად გადაიქცა უწყინარი ამხაშური, ტვიბრა, წყალმა და ღვარცოფმა წაიღო სახლები მელეში და ჯახუნდერში. ახლა სულ რაიონში სამში ზონიდან უნდა გადასახლონ თითქმის 200 ოჯახი. დაწყდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, დარღვეულია სატელეფონო კავშირი.

სოფელ მელედან, სადაც ვერტმფრინავმა პროდუქტები ჩაიტანა, რაიონულ ცენტრში მივემართებით. აქ გვხვდებიან აქტივის წარმომადგენლები, რომლებიც აპირებენ ვერტმფრინავით ჩავიდნენ შვიდ სასოფლო საბჭოში.

— 21 ივნისს აუცილებლად შინ უნდა ვიყო, — თქვა მელელმა ახალგაზრდა კოლმეურნემ გელა გველესიანმა. — მე ხმას მივცემ რაისაბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, რაიონული აგროსამმრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს მურმან ონიანს. მას კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს სოფელში, არამედ მთელ რაიონშიც. მან ბევრი რამ უნდა გააკეთოს, რომ უმოკლეს დრობი აღმოიფხვრას სტიქიური უბედურების შედეგები. ამოცანა საკმაოდ რთულია, მაგრამ ჩვენ მისი გვწამს.

— არც ჩვენ ვსხედვართ გულხელდაკრეფილნი, — ჩაერია საუბარში კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ხუტა მუკანიანი. — ცოგერის საგზაო მშენებლობის სამმართველოს და მისი მე-20 უბნის მექანიზატორებთან ერთად უკვე შერამდენე დღეა სტიქიის ებრძვიან კომკავშირული ბრიგადები. ეს მათ გადაარჩინეს სოფელ ლეკსურის რაიონში ხიდი, რომლის დანგრევა საფრთხეს უქმნიდა რაიონულ ცენტრს.

ძირითადად ახალგაზრდობა შრომობს მეცხოველეობის ფერმებში. საყურის უბანში, სადაც ვერტმფრინავმა ტვირთი ჩაიტანა, შეგვხვდა შვიდი ქალიშვილი — მადონა ზურაბიანი, ლალი მუკბანიანი, პაპა, ეთერ, მარიამ, მარინე და ნონა ბენდელიანები. ისინი 152 ძროხას უვლიან.

— 1 მაისიდან ჯოგი ზაფხულის საძოვრებზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ იქ ჯერ კიდევ თოვლია. აქაც ბალახი ჯერ არ წამოზრდილა. შარშან ამ დროს კი უკვე თიბვა დავიწყეთ, გვეთხრა ბრიგადირმა მადონა ზურაბიანმა. — როგორც ხედავთ, სიძნელეები გვაქვს, მაგრამ გაცილებით უფრო გვიჭირდა იანვარ-თებერვალში, როცა არც სინთლე გვქონდა, არც წყალი.

ალბათ, ქალიშვილებს ახლაც უჭირთ: ხუმრობა ხომ არ არის, 20-25 ძროხას უვლის თითოეული მათგანი. მაგრამ ისინი ხმის ამოუღებლად აკეთებენ თავიანთ საქმეს, რადგან შეგნებული აქვთ მოვალეობა.

— ყველანი ხომ არ ავიყრებით აქედან? თუ არა ჩვენ, ვინ უნდა აღადგინოს ჩვენი სოფლები, ჩვენი მეურნეობა?

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲛᲒᲠᲘᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲭᲠᲓᲜᲝᲑᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირძინსკის სახელობის კულტურის სახლის ფოიეში მოეწყო გამოფენა... „ზაკავკასიელისა და ფეხსაცმლისა. და ისეთი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისა, რომელსაც სანთლითაც ვერ იპოვი ვერც ერთ მაღაზიაში. მაგრამ ფასებს ნუ იტყვით. სპორტული ფეხსაცმელი, მაგალითად, ღირდა 250 მანეთი, შარვალი — 300, ქალის კოფტა — 450, მამაკაცის ფეხსაცმელი — 600, ლაბადა — 1000 მანეთი. მაგრამ მყიდველი ამ საქონელსაც გამოუჩნდებოდა, დროზე რომ არ ჩამოერთვათ „სტაციონი“ სპეკულანტებისათვის — გურზო-ბაბიერაშვილის, გიუკ აკიმ ყზის, უსპენსკაიასა და სხვებისათვის.

გამოფენა მოეწყო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მორიგი სხდომის მონაწილეთათვის, რომელიც მიეძღვნა უზრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. ცხელი ჩაი, ზაფხულში გააგი ᲔᲑᲘᲡ ეაღიძის წყლები. და, რა თქმა უნდა, წელის ნებისმიერ დროს ყველას გაახარებს პოპულარული ეროვნული ტკბილეული — ჩურჩხელა, თათარა...

სახლის სილრმეში რომ გაიცვიდო, აღმოჩნდებით ხაღურ მრეწავთა საგამოფენო დარბაზში. აქაც ბევრი რამ არის თვალის გასახარი: თუშური ხაღიჩები, სვანური მოჩუქურთმებული ავეჯი, იმერული ითიხის ჭურჭელი.

მოულოდნელობად მოგეჩვენებათ კიდევ ორი დარბაზის მეზობლობა, რომლებშიც მოხვედრა შეიძლება მხოლოდ მიწვევით. ეს არის შუხვედრებისა და მოდაპარაკების საღონი, სადაც ახალ კონტაქტებს დაამყარებენ ქართველი და მოსკოველი სპეციალისტები, და კამერული საკონცერტო დარბაზი, სადაც აყალიბდება ხაღური და კლასიკური მუსიკა, ერთმანეთს შეერწყმება ქართული პოლიფონიისა და რუსული რომანსის მელოდიები.

ეს უჩვეულო ობიექტი განლაგებულია გრაფ გ. ორლოვის კუთვნილ XVII საუკუნის სახლში. ქართველი სპეციალისტები შეეცადნენ არა მარტო აღედგინათ ეამთა სიავით დაზიანებული შენობის ვარგენული იერსახე, არამედ შეენარჩუნებინათ კიდეც „ადგილის სული“. სათუთად სრულდება ფასადის ძერწილი ფიგურების რესტავრაცია, საგულდაგულოდ უნარჩუნებენ სახლს პროპორციებს. უყურებ და გაკვირვებული ჩრდილი არქიტექტორთა გამჭრიახობით, რომელებმაც სართულებ ი ს შინაგანი დაგეგმარე ბ ი ს შეცვლით ძველი სახლის ფართობი ოთხი ათას კვადრატულ მეტრამდე გაზარეს.

„ქართული ნობათის“ სახლის კარი გაიღება გვიან შემოდგომაზე, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა იდღესასწაულებს დიდი ოქტომბრის იუბილეს.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲐᲜ: რესტავრატორი მხატვარი მიხეილ თუშიშვილი; შენდება სახლი არბატზე: სახურავის ოსტატები როსტომ არჩვაძე და დავით გოცაძე.

საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტის Ა. ᲠᲣᲮᲐᲫᲘᲡ ფოტო.



ᲒᲘᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

Გ. Ი. ᲒᲘᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ გარდაიცვალა 1940 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი ივანეს ძე **გიგოლაშვილი.** იგი დაიბადა 1907 წელს თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1925-1929 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. გ. გიგოლაშვილის შრომითი ბიოგრაფია დაიწყო 1929 წელს — მუშაობდა სხვადასხვა კომკავშირულ პასუხსაგებ თანამდებობებზე.

1935-1941 წლებში კინოსტუდია „ქართულ ფილმშია“ რეჟისორის ასისტენტად, სასცენარო განყოფილების კონსულტანტად, სამხატვრო-საწარმოო და სასცენარო განყოფილებების უფროსად, 1941-1945 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. გ. გიგოლაშვილი დაჯილდოებული იყო საბრძოლო ორდენებით და მედლებით.

ომის დამთავრების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა კინოსტუდიას. იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი, 1963-1969 წლებში — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1969-1973 წლებში კი საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

პენსიაზე გასვლის შემდეგ, 1976 წლიდან გ. გიგოლაშვილი ტელევიზიის პროგრამების მთავარი დირექციის პასუხისმგებელი მდივანია.

გ. გიგოლაშვილი იყო პრინციპული, უკომპრომისო კომუნისტი, კომპეტენტური ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, ერუდირებული, გულისხმიერი ადამიანი და მოქალაქე, აქტიურად წარმართავდა და უშუალოდ მონაწილეობდა კინემატოგრაფიის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის განვითარების პროცესებში, ახალგაზრდა შემოქმედთა კადრების აღზრდასა და დაოსტატებაში. გ. გიგოლაშვილი პირნათლად, კეთილსინდისიერად ასრულებდა პარტიულ-საზოგადოებრივ დავალებებს. რამდენჯერმე იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი, ამაგდარი კაცი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მრავალრიცხოვანი . კოლეგებ ი ს გულში.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი;
საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი;
საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირი;
კინოსტუდია „ქართული ფილმი“.

რედაქტორი
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.00. — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მწვანე მეფის საიდუმლოება“. სამკურნალო ბალახების შესახებ. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — „სპორტლოტო“. 10.30 — მაგვიძარა. 11.00 — ეემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — „მოწოდება“. 13.00 — გარდაქმნა და თანამედროვე თეატრის პრობლემები. 13.30 — მუსიკალური კითხვა. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — ჯანმრთელობა. მედიცინის მუშაკის დღისათვის. 15.45 — დღეს არჩევნებია. 15.55 — მხატვრული ფილმი „ანტონ რიბკინი“. 16.55 — გესაუბრებათ სსრკ ჯანმრთელობის მინისტრი ე. ი. ჩაზოვი. 17.10 — „ამხანაგი სიმღერა“. 18.00 — დღეს არჩევნებია. 18.10 — ჯოკუმენტური ფილმი „საყვარის სოლო“! 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — საბჭოთა სიმღერის ისტორიიდან. 20.30 — დღეს არჩევნებია. 20.35 — მხატვრული ფილმი „ᲛᲝᲬᲐᲣᲠᲝᲜᲐ ᲩᲕᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲗᲘ“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — გზაში მობილი სიმღერები. 23.10 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.55 — ახალი ამბები. 0.05 — იაპონური თეატრი „კაბუკი“.

მეორე პროგრამა 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — „ჩრდილოური სიმღერები“. 9.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.05 — რუსული მეტყველება. 10.35 — „ადიღეური მუსიკა“. 11.05 — უკრაინის ტელევიზიის პროგრამა. 12.15 — მსოფლიო მხატვრული კულტურა. მ. პ. მუსორგსკი. 13.00 — დოკუმენტური ტელეფილმი „დები“. მედიცინის მუშაკის დღის გამო. 13.50 — ი.კრუფსკალი. „ლრუბლისფერები“. სპექტაკლი. 15.50 — აშკარა—დაუჯერებელი. 16.50 — წყალთხილამურები. 17.35 — მულტფილმები. 18.05 — ხელი ჩაგიდოთ ერთმანეთს, მეგობრებო! 18.55 — ფიზკულტურა ყველასათვის 19.05 — მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძური. ს. პროკოფიევი. 20.00 — ფეხბურთი. ცსკა — თბილისის „დინამო“, მე-2 ტაიმი. 20.45 — „დოკუმენტური ტელეფილმი „თეატრი მაკარენკოს ქუჩაზე“. 21.00 — „ძილი ᲬᲘᲚᲘᲡᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲜᲐᲨᲘ“

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ

21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.10 — „დილა მშვიდობისა!“ — საკვირაო მუსიკალური-გასართობი პრო